შპს „ალპედე“

ს/კ 230077582 ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №22 ტელ.: 5 99 73 67 67

„--24--„ სექტემბერი „ 2021 წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ალპედე“ (ს/კოდი 230077582) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე 2016 წლიდან ფლობს ბეტონისა და სამშენებლო ბლოკის საწარმოს, რომლისთვისაც შემუშავებული და 2016 წლის 19 მაისს სამინისტროსთან შეთანხმებული ქონდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

2018 წლის 01 იანვრის შემდეგ ტერიტორიაზე დამატებით მოეწყო ქვიშახრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი, რომელიც გათვალისწინებული არ იყო სამინისტროსთან შეთანხმებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშით.

რადგან ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტში, მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, საქმიანობის განმახორციელებელის მიმართ 2021 წლის 27 იანვარს შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი N059765 ადს 79[7] მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის. საქმის მასალები განიხილა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, რომლის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილებით შპს „ალპედე“ ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და დაედო ადმინისტრაციული სახდელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

დანართი: სკრინინგიის განაცხადი და განაცხადის ელ. ვერსია;

პატივისცემით
გიორგი კოვზირიძე
დირექტორი

№ 17441
28 09 21